არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გამოიყენება, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გამოიყენება. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუ საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე.

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები კომპლექსურია და ხელმძღვანელობის განსჯას, შეფასებებს და დაშვებებს მოითხოვს, კერძოდ შემდეგ სფეროებში:

- შეფასება მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ; და
- მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

გავლენის შეფასება

კომპანია მიიჩნევს, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და გახდება უფრო მერყევი აქტივებისათვის ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. კომპანიას მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია ჯერ სრულად არ ჩამოუყალიბებია.

კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების ყველა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მაშინ როდესაც ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ეს ცვლილებები ზოგადად შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი ოდენობა წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუსაზღვრავს რაიმე ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ამჟამად არ აქვს მსგავსი განზრახვა. კომპანიის შეფასება არ მიუთითებს რაიმე სახის არსებით გავლენაზე ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის.

ახსნა-განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს უფრო დეტალურ ახალ განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ კი საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით. კომპანიის შეფასება მოიცავს ანალიზს მონაცემების ინტერვალის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემისა და საკონტროლო მექანიზმების ცვლილებების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების ასახვისთვის.

გადასვლა

ფასს 9-ის მიღებიდან გამომდინარე სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები უმეტესად გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად, გარდა ქვემოთ აღწერილის შემთხვევებისა:

- კომპანია ისარგებლებს შესაძლებლობით, არ გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია წინა პერიოდებისთვის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან (გაუფასურების ჩათვლით) მიმართებაში. ფასს 9 -ის მიღების შედეგად გამოწვეული სხვაობები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში, აღიარდება როგორც გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები 2023 წლის 1 იანვრისთვის.
- შემდეგი შეფასებები უნდა გაკეთდეს იმ ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობს თავდაპირველ გამოყენების თარიღისთვის:
 - იმ ბიზნეს მოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ფლობილია ფინანსური აქტივი.
 - სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების წინა განსაზღვრებების გაუქმება და ხელახლა განსაზღვრა;

- კონკრეტული ინვესტიციების განსაზღვრა წილობრივი ინსტრუმენტების სახით, რომლებიც არ არის სავაჭროდ ფლობილი და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ფასდება ბასს 39-ის ფარგლებში ამორტიზირებული ღირებულებით აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

• სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი სტანდარტები/ დამატებები სტანდარტში არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (ფასს 16-ის კორექტირება).
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 წლების ციკლი;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- სააღრიცხვო პოლიტიკების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1 -ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები).
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის კორექტირებები).
- ერთი გარიგების შედეგად წარმოშობილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის კორექტირებები).



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
ბოჭორიშვილის ქ. №88/15.

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/099/22

04/10/2022

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2022 წლის 4 ოქტომბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2022 წლის 4 ოქტომბრით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2022 წლის 17 მარტს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2022 წლის 17 მარტის შემდეგ. მმართველობითი ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულია ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

ირინა გვეორგიანი
აუდიტის პარტნიორი
შპს „KPMG Georgia“



მმართველობითი ანგარიშგება

2021

ჭიკიაი კოლდინგის შესახებ

#1

სადაზღვევო
კომპანია
მოზიდული
პრემიის
მიხედვით

20

წელი
საქართველოს
სადაზღვევო
ბაზარზე

2006

წლიდან ვენის
სადაზღვევო
ჯგუფის წევრი

მისია

ხელი შევუწყოთ პროგრესულ
ინდივიდებს, იცხოვრონ
დაბრკოლებების გარეშე.

სლოგანი

იმოქმედე, ჩვენ დაგაზღვევთ!



ღირებულებები

თანადგომა
პროფესიონალიზმი
სამართლიანობა
პროგრესი

სერვისის ატრიბუტები

-  სიზუსტე
-  სიმარტივე
-  სისწრაფე
-  კომფორტი

საქმიანობის მიმოხილვა



კაკა ლომაძე

“ჯიპიაი ჰოლდინგის” გენერალური დირექტორი

2021 წელს ჩენი მთავარი გამოწვევა კვლავ კოვიდ პანდემიასთან ბრძოლა იყო. თუმცა, წინა წლისგან განსხვავებით, რეგულაციების მოხსნის და ბიზნეს სექტორის გამოცოცხლების შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით გავაქტიურდით.

წლის დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოვიდის მაჩვენებლები და შესაბამისად, ჩვენი დაზღვეულების მხრიდან მომართვიანობა. ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო, გაზრდილი ნაკადები გვემართა და ყველა ჩვენს დაზღვეულს მიეღო შესაბამისი მომსახურება. საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ, მომართვიანობის შესაბამისად გავზარდეთ კადრების რაოდენობა, შევქმენით ელექტრონული და გამარტივებული სერვისები იმისთვის, რომ მომსახურებაში შეფერხება არ გვქონოდა.

რადგან კოვიდ პაციენტების რიცხვი რეკორდულად გაიზარდა, მათი ბინაზე მართვის პროცესში განსაკუთრებულად აქტიურად ჩავრთეთ კლინიკა კურაციოს პირადი ექიმები. გამოიყო ექიმთა ჯგუფი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ემსახურებოდნენ კოვიდიან პაციენტებს და გასცემდნენ დანიშნულებას მკურნალობაზე. მომართვიანობა იმდენად დიდი იყო, რომ დამატებითი ძალების მობილიზება დაგვჭირდა, თითქმის ყოველკვირულად გვინევდა ახალი ექიმების დამატება, რომ ყველა პაციენტთან მომხდარიყო კომუნიკაცია. ციფრული პროგრამების დახმარებით შევძელით გაგვემარტივებინა PCR ტესტების ჩატარება ჩვენი დაზღვეულებისთვის, რითაც შევძელით ერთის მხრივ კლიენტებისთვის გამარტივებული და კომფორტული პროცესის უზრუნველყოფა და მეორეს მხრივ პირადი ექიმების დროის გათავისუფლება და უშუალოდ პაციენტების მკურნალობის პროცესზე მიმართვა. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში კარგად გავართვით თავი და შევძელით გამოწვევებზე გვეპასუხა.

პანდემიის დაწყების შემდეგ ჩვენი გაყიდვების მენეჯერები ყველა პროდუქტს ონლაინ, დისტანციურად ყიდდნენ და ეს ასე გაგრძელდა

2021 წელსაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო, ჩვენი გუნდის და მაღალი ხარისხის ციფრული სერვისების გამოყენებით ამ ამოცანასაც წარმატებულად გავართვით თავი. ამაზე გაყიდვების მაჩვენებლებიც მეტყველებს. 2021 წელსაც პირველები ვიყავით მოზიდული პრემიის მიხედვით და წინა წლებთან შედარებით გაყიდვების მაჩვენებელი გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია ჯერ კიდევ მძვინვარებდა, 2021 უფრო აქტიური წელი იყო ბიზნესისთვის. თუმცა პრემიის და გაყიდვების ზრდასთან ერთად რადიკალურად გაიზარდა სადაზღვევო სერვისების მოხმარება. ამან საერთო სურათზე და მომგებიანობის მაჩვენებელზეც იმოქმედა. წინა წელთან შედარებით 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა სადაზღვევო სერვისების გამოყენების მაჩვენებლები და საკმაოდ დიდი თანხები ავანაზდაურეთ და გავაციტ. განსაკუთრებით ჯანმრთელობის მიმართულებით. მომსახურების მოხამრების ზრდა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა - ერთი ეს გახლდათ ლოქდაუნის პერიოდში გადავადებული სამედიცინო დახმარების მიღება რეგულაციების მოხსნის პირობებში და მეორე, ჯანმრთელობის საკითხების სენსიტიურობის ზრდა. ხარჯების უპრცედენტო ზრდის გამო 2021 წელს მოზიდული პრემიის ზრდის მიუხედავად, ზოგადად სექტორის და ჩვენი მომგებიანობაც დაბალი იყო.

პანდემიის მიუხედავად, ვიმუშავეთ და წარვადგინეთ ახალი პროდუქტი ავტოდაზღვევის მიმართულებით. ჩვენი კომპანიისთვის ავტოდაზღვევა პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი ამოცანაა საქართველოში ავტომობილის დაზღვევის კულტურის გამყარება და ამისთვის ავტომფლობელებისთვის მანქანის დაზღვევის გამარტივება. სწორედ ამიტომ, მომხმარებელს სრულიად ახალი პროდუქტი - ავტოფიქსი - წარვუდგინეთ, რომელსაც ბაზარზე ანალოგი არ აქვს. ავტო ფიქსით დაზღვეულმა ზუსტად იცის, რომ დაზღვევაში თვეში 40 ან 50 ლარს გადაიხდის და ყოველგვარი წინაპირობების და გამონაკლისების გარეშე ზარალის 90% აუნაზღაურდება. ვფიქრობ ეს პროდუქტი ადამიანებს დაზღვევის შეძენას გაუმარტივებს და ქვეყანაში დაზღვეული ავტომობილების რიცხვიც გაიზარდება. პირველადი შედეგები აჩვენებს, რომ მომხმარებელი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ახალ პროდუქტს და ჩვენ შევძელით მოგვეცვა ის ავტომფლობელები, რომლებიც აქამდე სხვადასხვა მიზეზით, უარს ამბობდნენ ავტოდაზღვევაზე ან საერთოდ არ ინტერესდებოდნენ.

2021 წელს, ჩვენი სექტორისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ფასების ზრდა და ინფლაცია. განსაკუთრებით, სამედიცინო მომსახურების სფეროში ფასების ზრდამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა დაზღვევის სექტორზეც. ინფლაციის გამო მოგვინია სადაზღვევო პაკეტების ფასებისთვის გადაგვხედა და შედეგად ამ წელს თითქმის ყველა პროდუქტის გაძვირება მოხდა.

საერთო ჯამში სირთულეების მიუხედავად, ვინარჩუნეთ ბაზრის ლიდერის პოზიციებს და სტაბილურად განვაგრძობთ ზრდას. მოვახერხეთ უამრავი ახალი პროექტის განხორციელება და ახალი სერვისების დანერგვა. ვაგრძელებთ განვითარებას და ჩვენი დაზღვეულების კომფორტზე ზრუნვას.

კომპანიის განვითარების გეგმა და გამოწვევები

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ გეგმავს, რომ 2022 წლის ბოლოს უცვლელი იყოს მისი ბაზრის წილი და კვლავ შეინარჩუნოს ბაზარზე ლიდერობა. კომპანია სხვადასხვა გამოწვევებისა და ბიზნეს რისკების წინაშე დგას. ამ რისკების სამართავად კომპანიას მიზნად აქვს რომ მომავალ წელს სოლვენსის და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა იყოს დაახლოებით 130%, ხოლო სოლვენსის და მინიმალური კაპიტალის თანაფარდობა 300%. კომპანია გეგმავს რომ არ შეცვალოს სტრატეგია და კვლავაც იყოს კონცენტრირებული ჯანმრთელობის და კასკოს დაზღვევის სახეობების განვითარებაზე.

ბიზნეს რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევა ფინანსურ რისკს უკავშირდება, რომელიც მოიცავს საპროცენტო განაკვეთს, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. დეტალურად ეს რისკები ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული.

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ 2017 წლიდან გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრია. შესაბამისად ჩვენი საქმიანობით ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას. 17 მიზნიდან, ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ჩვენთვის ყველაზე რელევანტური და მნიშვნელოვანია 4 მიზანი, რომელთა შესრულებაშიც ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევიტანოთ წვლილი:



ამ ანგარიშშიც, სწორედ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2021 წელს, ჩვენი კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შეხვდებით.

8 DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH




თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა

2021 წელს გაგრძელდა 2020 წელს დაწყებული გამოწვევები, რომელიც მოქმედებდა თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე და ჩვენც დიდი ძალისხმევა გავწიეთ, რომ უზრუნველგვეყო თანამშრომელთა შენარჩუნება და კეთილდღეობა. ამავე დროს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პანდემიით გამოწვეული დისტანციური მუშაობა გვექცია ჩვეულებრივ პრაქტიკად და დაგვენერგა ჰიბრიდული მუშაობის მოდელი.

კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩაგვეტარებინა თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა, რომლის საშუალებითაც დავაგდენდით ერთის მხრივ თუ რა განწყობები იყო თანამშრომლებში ზოგადად სამუშაო გარემოსთან, კომპანიასთან და მის მენეჯმენტთან დაკავშირებით, eNPS (employee Net Promoter Score) - თანამშრომლების ლოიალურობის მაჩვენებელს და შევადარებდით ჩვენს მაჩვენებლებს საქართველოს სხვა კომპანიების მაჩვენებლებთან, ე.წ. ბენჩმარკთან, ასევე განვსაზღვრავდით, თუ როგორ აფასებდნენ თანამშრომლები კონკრეტულად ჰიბრიდული მუშაობის მოდელს, რამდენად მისაღები და საჭირო იქნებოდა მათთვის ეს შეთავაზება.

ჩართულობის კვლევა ჩატარდა საეთაშორისო კონსულტანტის კილიან ვავუს, რომელიც VU University Amsterdam-ში მოღვაწეობს და მისი საქართველოს პარტნიორის ნინო ოხანაშვილის თანამშრომლობით. კვლევითი ინსტრუმენტი 2003 წლიდან არის აქტიური და ტარდება ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო საქართველოში 2016 წლიდან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა 80%-ზე მეტმა და საერთო ჯამში უმეტეს კონცეპტში გამოვლინდა კარგი და საქართველოს ბენჩმარკზე მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის eNPS მაჩვენებელში. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ თანამშრომელთა 84% ემხრობოდა ჰიბრიდული მუშაობის მოდელის დანერგვას. შედეგები კონსულტანტებთან და HR გუნდათან ერთად დეტალურად დამუშავდა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, წარედგინა როგორც მენეჯმენტს, ასევე თანამშრომელს და შედგა სამოქმედო გეგმა ძლიერი მხარეების და გამოწვევების სამართავად. 2022 წლის დასაწყისში დაგეგმილია კვლევის განმეორებით ჩატარება, შედეგების შედარება და 2021 წელს გაწეული ძალისხმევის ეფექტურობის შეფასება.



თანამშრომელთა
რაოდენობა 2021 წლის
მონაცემებით

641

გენდერის მიხედვით განაწილება



77%



23%

თანაფარდობა გაყიდვების
დეპარტამენტში



17%



83%

ღირეშდორთა საბჭო



0%



100%

თანაფარდობა ბორდში, პირველი
რგოლის მენეჯერების გარდა



41%



59%

ასაკის მიხედვით განაწილება



განაწილება ყველა
თანამშრომლის მიხედვით



77%



23%

გაყიდვების დეპარტამენტი



67%



33%

გაყიდვების დეპარტამენტის
ქალი თანამშრომლები



62%



38%

კორპორაციული გაყიდვების მენეჯერების სატრენინგო პროგრამა

2020-2021 წლებში კორპორაციული გაყიდვების გუნდის ინიციატივით დაიგეგმა, მომზადდა და განხორციელდა 6 თვიანი სასწავლო პროგრამა.

პროგრამის მიზანს მსხვილ ბიზნესთან მომუშავე თანამშრომლებისთვის როგორც ბიზნესის მართვის, ასევე პრიორიტეტული დარგების მიხედვით სპეციფიკური, კონკრეტული ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი კომპლექსური ცოდნის გადაცემა წარმოადგენდა.

**პროგრამას რამდენიმე ძირითადი
ამოცანა ჰქონდა:**

01

**მსხვილი ბიზნესის დაზღვევის მიმართულებით
კორპ. მენეჯერების პორტფელების გაზრდა**

02

**კორპორაციული მენეჯერების კომპეტენციების
განვითარება შემდეგი მიმართულებით:**

- ბიზნესის მართვის საფუძვლების გაცნობა
- ბიზნეს-ეტიკეტი, SOFT SKILL-ების განვითარება
- ინდუსტრიისთვის სპეციფიკური ცოდნის გადაცემა
- ახალი კავშირების დამყარება სხვადასხვა ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან
- დარგისთვის სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის უნარების განვითარება

პროგრამის ფარგლებში გამოიყო რამდენიმე პრიორიტეტული ინდუსტრია და დარგი და შესაბამისი სფეროს ექსპერტების ჩართულობით, ჩატარდა რამდენიმე კომპლექსური კვლევა და 10-მდე სახეობის ტრენინგი / სამუშაო შეხვედრა.

**ინდუსტრიები, რომელშიც
სპეციალიზირდნენ მოანწილეები:**

- სამშენებლო სექტორი
- გადამზიდავები, დასაწყობება, ტერმინალის ოპერატორება, ლოჯისტიკა

**პროგრამა მოიცავდა შემდეგ ტრენინგ
კომპონენტებს:**

ზოგადი მიმართულება:

- მაკრო-ეკონომიკა, ბიზნესის მართვის საფუძვლები - მინი კურსი
- SOFT SKILLS: ბიზნეს - ეტიკეტი, პრეზენტაცია, მოლაპარაკება, ნეტვორქინგი

**სფეროს სპეციფიკური
მიმართულებით ჩატარებულ
კვლევებსა და ტრენინგ პროგრამაში
მიმოხილული თემები:**

- დარგის ზომა, მოცულობა, სტრუქტურა, ძირითადი მოთამაშეები, რეგულაციები, ტენდენციები
- რესურსები - რა კვლევები არსებობს, რას უნდა ვადევნოთ თვალი
- ასოციაციები - ძრითად მოთამაშეებში, გამოფენები, სად ხდება დარგის მონაწილეების შეკრება, ნეტვორკინგის შესაძლებლობები

სულ პროგრამა 36 საკონტაქტო საათს მოიცავდა. პროგრამაში მონაწილეობა კორპორაციული დაზღვევის 23-მა მენეჯერმა და გაყიდვების ხუთმა მენეჯერმა მიიღო.

პროგრამის შედეგის, პირველ რიგში თავად მონაწილეების კომპეტენციის ზრდაში გამოვლინდა. თუმცა ამავდროულად, არაპირდაპირი შედეგი ერთი მხრივ მოტივაციის ზრდასა, ხოლო მეორეს მხრივ - მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და თითოეული კორპორაციული გაყიდვის მენეჯერის პროტფელის ზრდაშიც აისახა.

შპმ პირების და რეგიონებში მცხოვრები ადამიანების დასაქმება



პანდემიის შემდეგ დასაქმების ბაზარი რადიკალურად შეიცვალა. დისტანციურად დასაქმების შესაძლებლობამ ადამიანებს საშუალება მისცა სამსახური არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვრებს გარეთაც მოეძებნა. შესაბამისად, გაჩნდა ახალი კადრების დეფიციტი და დაიწყო კონკურენცია უკვე არსებულ, გამოცდილ კადრებზე.

ჩვენი მნიშვნელოვანი იყო შეგვენარჩუნებინა ჩვენი თანამშრომლები და ასევე ღირსეული პირობების შეთავაზებით მოგვეზიდა ახალი ადამიანები. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ჩვენი საქმიანობა უფრო ინტენსიური გახდა და ამასთან, ზამთრის პერიოდში რეკორდულად გაზრდილი კოვიდის შემთხვევებზე დროულად რეაგირებისათვის ახალი თანამშრომლები აუცილებლად გვჭირდებოდა.

რადგან დისტანციურად მუშაობის რეჟიმზე კომპანია მარტივად გადაეწყო და სახლიდან მუშაობა პრობლემას არ ქმნიდა არც პოსტპანდემიურ პერიოდში, მენეჯმენტმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ ჯიპიანი ჰიბრიდული სისტემით განაგრძობდა მუშაობას. შესაბამისად, თანამშრომლებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ იარონ სამსახურში ან იმუშაონ სახლიდან, თავად დაგეგმონ სამუშაო დღე. ამ სტრატეგიულმა ცვლილებამ, შესაძლებლობა მოგვცა, ჩვენი კომპანია უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო და ახალი თანამშრომლები მთელი საქართველოს მასშტაბით მოგვეძებნა და არა მხოლოდ თბილისში. ამასთან, რადგან ოფისში სიარულის ვალდებულება მოიხსნა, არადაპტირებული შენობებიც არ იყო პრობლემა და შესაბამისად შეგვეძლო შპმ პირები დაგვესაქმებინა.

თანამშრომელთა ყველაზე დიდი დანაკლისი გვექონდა ქოლ-ცენტრში. გვჭირდებოდა ახალი კადრების აყვანა, რომლებიც კარგად

მოერგებოდნენ კომპანიას. მივიღეთ გადაწყვეტილება, ამ პოზიციაზე შპმ პირები დაგვესაქმებინა. დავეკავშირდით ასოციაცია „ანიკას“, რომელიც შპმ პირებთან მუშაობს და ეხმარება მათ დასაქმებაში.

„ანიკას“ წევრებს გავაცანით ჩვენი შეთავაზება, ჩვენი მათთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ დიდი ხნის ურთიერთობა და თანამშრომლობა აკავშირებთ შპმ პირებთან, იციან მათი საჭიროებები და უნარები. ზუსტად მიხვდნენ ვის ვეძებდით და მათი დამხმარებით 4 ადამიანი დავასაქმეთ.

ასევე დავესწარიტ ქალაქ ქუთაისში შპმ პირების დასაქმების ფორუმს. შევხვდით და გავესაუბრეთ ფორუმზე მოსულ დასაქმების მსურველებს. ამ ფორუმიდან ერთი ადამიანი დავასაქმეთ ციფრული განვითარების დეპარტამენტში ტესტირის პოზიციაზე.

დისტანციური მუშაობის რეჟიმმა ასევე მოგვცა შესაძლებლობა რეგიონებში მცხოვრები ადამიანები დაგვესაქმებინა. თანაც ისე, რომ მათარ მოუწევდათ საცხოვრებელი ადგილების დატოვება და სამუშაოდ თბილისში გადმოსვლა. მათთვის ეს შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რაიონებში სამუშაოს მოძებნა ძალიან უჭირდათ. მეორე მხრივ კი მსგავსი პრეცედენტები ხელს შეუწყობს რაიონებში ხალხის დარჩენას და პრობლემა, რომელიც ახლა გვაქვს - რაიონები იცლება ახალგაზრდებისგან - ნაწილობრივ აღმოიფხვრება.

ჩავატარეთ დასაქმების მინი კამპანია ციფრული არხების გამოყენებით. ჩვენი ვაკასიები მისწვდა რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს. ჯამში, სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 9 ადამიანი დავასაქმეთ. ისინი საკუთარი რაიონებიდან და სოფლებიდან მუშაობენ ჯიპიან თბილისის ოფისში, დისტანციურად.

ინკლუზიურობის ტრენინგი

შპმ პირების დასაქმებასთან ერთად, ჯიპიას თანამშრომლებს ხშირად უწევთ შპმ პირებთან ან მათ მშობლებთან კომუნიკაცია, მათთვის სერვისების მიწოდება. “ჯიპიაი ჰოლდინგის” ხარისხის მართვის სამსახურში დაფიქსირდა პრეტენზია ჩვენი თანამშრომლი მხრიდან არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენების გამო. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ საჭირო იყო უფრო სიღრმისეულად გავცნობოდათ შპმ პირებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, სტანდარტებს და კანონმდებლობას, რომ სწორად აგვესახა ეს სტანდარტი როგორც საკომუნიკაციო წესებში, ისე პროდუქტის დიზაინისა და საქმიანობის სხვა მიმართულებებში.

გადავწყვიტეთ, მიგვემართა სახალხო დამცველის ოფისისთვის, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით დაგვთანხმდნენ. ტრენინგს დაესწრო 15 ადამიანი შუა და მაღალი რგოლის მენეჯმენტიდან. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ჩვენს თანამშრომლებს ს გააცნეს შპმ პირების მიმართ საქართველოში არსებული ქცევის კოდექსი. ესაუბრნენ დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ, ასწავლეს სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება და განიხილეს საქართველოში მომხდარი ფაქტები, რომლებმაც შპმ პირების დისკრიმინაცია გამოიწვია.

ომბუცმენის წარმომადგენლები - ნინო ვალიკოვი, ქეთი შუბაშვილი დ ანა სალდაძე ჯიპიას თანამშრომლებს ესაუბრნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე, მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის და დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებზე. მიმოიხილეს ამ საკითხთან დაკავშირებულ ქეისები და ამ კუთხით სახალხო დამცველის მუშაობის პრაქტიკაც გააცნეს. შეხვედრაზე განიხილეს ჯიპიაიში მომხდარი ქეისებიც.

ჯიპიას თანამშრომლებმა დასვეს კითხვები და ომბუცმენის აპარატის წარმომადგენლებისგან მიიღეს რჩევები, სხვადასხვა სიტუაციაში როგორ უნდა ემოქმედათ სწორად, ისე რომ შპმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების სრული ინკლუზია მომხდარიყო როგორც მომსახურების პროცესში, ასევე პროდუქტის შექმნისას.

ტრენინგს ესწრებოდნენ ასევე ქოლ-ცენტრის თანამშრომლებიც, სადაც შპმ პირები იწყებდნენ მუშაობას და ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი იყო პირველ რიგში სწორედ ამ თანამშრომლებს მიეღოთ ინფორმაცია შპმ პირების მიმართ სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებისა და ქცევის შესახებ.

ვენის სადაზღვევო ჯგუფის ალიარების ჯილდო მოხალისეობრივი საქმიანობისთვის

ჯიპიას თანამშრომელი თამარ ჩიბარაშვილი ვენის სადაზღვევო ჯგუფის კონკურსის „ალიარების ჯილდო ნებაყოფლობითი მოხალისეობრივი საქმიანობისთვის“ გამარჯვებული გახდა.

კონკურსს ვენის სადაზღვევო ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს ჯგუფის წევრი კომპანიების იმ თანამშრომლებისთვის, ვინც სამსახურს გარეთ მოხალისეობრივ საქმიანობას ეწევა. კონკურსის მიზანი მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართული თანამშრომლების გამოვლენა და მათი საზოგადოებრივ საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებაა.

ამ ინიციატივის ფარგლებში, ჯიპიაშიც ყოველწლიურად ტარდება შიდა კონკურსი, სადაც ჯიპიას ყველა თანამშრომელს აქვს შანსი დაასახელოს კოლეგა, რომელიც მოხალისეობრის საქმიანობას ეწევა. წელსაც, დასახელებული 6 კანდიდატიდან შიდა კონკურსით შევარჩიეთ 3 ნომინანტი და მათი ისტორიები ვენის კონკურსზე გავგზავნეთ. იქ კი ჯგუფის წევრი ყველა კომპანიის თანამშრომლებს შორის, ერთ-ერთ გამარჯვებულად თამარ ჩიბარაშვილი დასახელდა, რომელსაც პრიზად სპეციალური სიგელი და iPhone 12 ერგო.

თამარი, რომელიც პროფესიით გეოგრაფია, და ჯიპიაში გაყიდვების მენეჯერად მუშაობს, წლების განმავლობაში უსასყიდლოდ ამზადებს გეოგრაფიაში აბიტურიენტებს, რომელთაც თანხის გადახდის საშუალება არ აქვთ. ასევე უანგაროდ ეხმარება დანყებითი კლასის მოსწავლეებს, განსაკუთრებით თავისი სოფლიდან და სხვადასხვა საგნებში ამზადებს მათ.

სწორედ ეს საქმიანობა დაუფასა თამარს „ვენის სადაზღვევო ჯგუფმა“ და უამრავ კანდიდატს შორის გამოარჩია. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად, ვენის სადაზღვევო ჯგუფის ჯილდოს გამარჯვებულები ვენაში, ჯგუფის სათაო ოფისში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიაზე იღებენ, თუმცა 2021 წელს პანდემიის შეზღუდვების გამო, ვენაში ვიზიტი ვერ განხორციელდა.



ოროზმანი - მსოფლიო დონის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები

ჩვენი კომპანია ეროვნული მუზეუმის მხარდამჭერია სოფ. ოროზმანში ჰომინიდების (Homo Erectus) გავრცელების ახალი კერის კვლევის პროცესში.

ჯიპიას ფინანსური მხარდაჭერით ეროვნული მუზეუმის ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფი აგრძელებს ადამიანის ევოლუციის ისტორიის შესწავლას საქართველოსა და მსოფლიოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ლოკაციაზე.

ფინანსურთან ერთად, გვინდოდა ფიზიკური წვლილიც შეგვეტანა ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეში. სწორედ ამიტომ „მოქმედების დღის“ ფარგლებში ჯიპიას 30-მდე თანამშრომელი იმყოფებოდა ოროზმანში, სადაც მკვლევარებს არქეოლოგიურ გათხრებში დაეხმარნენ. ჩაერთნენ ლაბორატორიულ სამუშაოებში და იმუშავეს ველზე, გათხრებისთვის ახალი ადგილების მოძიების პროცესში.

გათხრებში მონაწილეობასთან ერთად დაათვალიერეს დმანისის ნაქალაქარი და გაეცნენ დმანისში გაკეთებული აღმოჩენების ისტორიას.

პროექტი კვლავ გრძელდება.



3 GOOD HEALTH AND WELL-BEING



აიცერი, დააზღვრე სიცოცხლე!

2021 წელი ჯერ კიდევ პანდემიური წელი იყო. საქართველოში კოვიდ 19-ის ყველაზე დიდი ტალღა სწორედამპერიოდში დაიწყო. აქედან გამომდინარე ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი იყო წვლილი შეგვეტანა პანდემიის დასრულებაში და ეკონომიკის ამუშავებაში, ამისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ვაქცინაციის ჩატარება იყო. სწორედ ამიტომ, ვაქცინაციის პოპულარიზაცია, პირველ რიგში, ჩვენი კომპანიის თანამშრომლებში დავიწყეთ. ვაქცინების ქვეყანაში შემოსვლისთანავე თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიაში ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანია სახელწოდებით - „აიცერი, დააზღვრე სიცოცხლე“ დავიწყეთ. კამპანიის მიზანი იყო, წლის ბოლომდე ჯიპიის თანამშრომლების 80% სრულად ყოფილიყო ვაქცინირებული.

თანამშრომლების მოტივაციის ასამაღლებლად და ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, კომპანიაში აქტიურ შიდა საკომუნიკაციო კამპანიას განვახორციელეთ.


თანამშრომლებში ვაქცინაციის პროცესზე ცნობიერების გაზრდის მიზნით, ყოველკვირეულად იმართებოდა შეხვედრები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ცნობილ ექიმებთან, ფსიქოლოგებთან, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებთან. ყველა თანამშრომელს ეძლეოდა შესაძლებლობა დაესვა მისთვის საინტერესო კითხვა და პასუხი ინდივიდუალურად მიეღო.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ყოველდღიურად ვაწოდებდით სხვადასხვა სანდო წყაროზე დაფუძნებული ინფორმაციას ვაქცინებზე, მათ სარგებლიანობაზე. ეცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას და სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც საშუალებას აძლევდათ თავად გაეკეთებინათ დასკვნები ვაქცინაციის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. შიდა საკომუნიკაციო პლატფორმების დახმარებით ერთმანეთს თავიანთი გამოცდილებას უზიარებდნენ და ეს იყო წახალისება მათთვის ვინც, იმ მომენტისთვის არ იყო აცრილი.

იმისთვის რომ თანამშრომლებისთვის უფრო მეტი მოტივაცია მიგვეცა ჩავატარეთ აცრის წამახალისებელი ლატარია. სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას ვინც ორჯერადად იქნებოდა აცრილი ან ლატარიის დღემდე აიცრიდა. გამარჯვებულებს კი კახეთის სხვადასხვა პრესტიჟული სასტუმროს საგზურები გადაეცემა. სულ 30 გამარჯვებული გამოვავლინეთ, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვაქცინით აიცრნენ. გამარჯვებულთან დარეკვისას აუცილებლად ვეკითხებოდით როდის და რომელი

ვაქცინით აიცრნენ და ისინი ამ ჩართვის დროს მოუწოდებდნენ სხვა თანამშრომლებს აცრისკენ.

საბოლოო ჯამში კამპანიის შედეგად აცრილთა რიცხვი 50% - დან 80% მდე გაიზარდა.



საერთაშორისო კონსილიუმი

MSO

საერთაშორისო კონსილიუმი ახალი სერვისია, რომელიც ჩვენს დაზღვეულებს საზღვარგარეთ, მსოფლიოს წამყვან კლინიკებში დიაგნოზზე დამატებითი ინფორმაციის, ე.წ. მეორე აზრის მიღების შესაძლებლობას აძლევს. პირველად საქართველოში, დაზღვეულებს მივცით შესაძლებლობა, მათი სამედიცინო ისტორია და დიაგნოზი მსოფლიოში წამყვანმა სპეციალისტებმა განიხილონ.

პროექტი საერთაშორისო კომპანია მედიგაიდთან და კლინიკა კურაციოსთან ერთად დავიწყეთ. „მედიგაიდი“ საერთაშორისო კომპანიაა, რომელიც 1990 წელს აშშ-ში დაარსდა და 152-ზე მეტ ქვეყანაში აძლევს საშუალებას ადამიანებს სამედიცინო დიაგნოზი მსოფლიოს წამყვან კლინიკებში გადაამოწმონ. 100-ზე მეტი პარტნიორი კლინიკის დახმარებით „მედიგაიდი“ არის ლიდერი კომპანია ბაზარზე, რომელიც პაციენტებს საერთაშორისო კონსილიუმის სერვისს სთავაზობს.

როდესაც საუბარია სერიოზულ სამედიცინო პრობლემაზე, პაციენტებს ხშირად სურთ, მოისმინონ მეორე აზრი სხვა სპეციალისტებისგანაც. საერთაშორისო კონსილიუმი სწორედ ამ მოსმახურებას შეიცავს - მარტივად და ზედმეტი თანხის გადახდის გარეშე ერთი ზარის საშუალებით, „ჭიპი“ -ს საერთაშორისო პარტნიორების და კურაციოს ექიმების დახმარებით, დაზღვეული თავად აირჩევს კლინიკას და სამედიცინო მონაცემების გადაგზავნის შემდეგ, მის დიაგნოზს დარგის წამყვანი სპეციალისტები კონსილიუმზე განიხილავენ. დაწვრილებით მიმოხილვას და რჩევებს, თუ რა არის უმჯობესი კონკრეტული დიაგნოზის მკურნალობისას პაციენტები 10 სამუშაო დღეში მიიღებენ.

საერთაშორისო კონსილიუმის სერვისი არის სრულიად ახალი მიდგომა და შესაძლებლობა თითოეული ადამიანისთვის, რომ მისი ჯანმრთელობისთვის საუკეთესო მიდგომა აირჩიოს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს დაზღვეულებს წვდომა ჰქონდეთ მსოფლიოს წამყვან ექიმებთან და უახლეს სამედიცინო სერვისზე. თუ მცირე ეჭვი მაინც აქვთ, შესაძლებლობა მივცეთ, გადაამოწმონ საქართველოში დასმული დიაგნოზი და მკურნალობის უფრო თანამედროვე მეთოდებით სარგებლობა შეძლონ. მესამე წელია კიბოს რისკისგან დაზღვევას ვთავაზობთ ადამიანებს და ამპროგრამის ფარგლებში დაზღვეულები ხშირად გვთხოვდნენ მათთვის საზღვარგარეთ კლინიკის შერჩევაში დახმარება გაგვეწია. ჩვენც რა თქმა უნდა ყველა მათგანს ვაკავშირებდით კლინიკებთან, თუმცა როგორც წესი იქ ნასვლა და მკურნალობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო კონსილიუმი კი საუკეთესო საშუალებაა ყველანაირი ხარჯის გარეშე მსოფლიოს მოწინავე ექიმები გაეცნონ შენს დიაგნოზს და გამოგიგზავნონ მკურნალობის

გეგმა, თანაც ისე, რომ ქვეყნის დატოვება არ მოგიწევს. ტელემედიცინა მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული და პოპულარული მეთოდია და სწორედ ამ მეთოდს ვწერგავთ ჩვენთანაც, დაზღვეულები შეძლებენ დისტანციურად გაიარონ ექიმთან კონსულტაცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

საერთაშორისო კონსილიუმის სერვისით სარგებლობა ჯიპიას ჯანმრთელობის დაზღვევისა და პოლისი „ონკოქეარის“ შეძენის დროს არის შესაძლებელი. დიაგნოზის გადამოწმების სერვისს პოლისის ღირებულება სრულად ფარავს და დაზღვეულს დამატებითი თანხის გადახდა არ სჭირდება. საერთაშორისო კონსილიუმის სერვისით 2021 წელს 8 პაციენტმა ისარგებლა. ერთ შემთხვევაში შეიცვალა სამკურნალო სქემა, რამაც დაზღვეული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

დანარჩენ 7 შემთხვევაში, დიაგნოზის კორექტირება არ მომხდარა, თუმცა ჩატარდა მათი მოთხოვნით, დამატებითი კვლევები და დაკორექტირდა დანიშნული მედიკამენტები.

რადგან საერთაშორისო კონსილიუმი ახალი სერვისი იყო, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი დიმიტრი ცინცაძის ფონდთან. მემორანდუმის ფარგლებში ცენტრის ბენეფიციარებს საშუალება მიეცათ, სურვილის შემთხვევაში დიაგნოზი საზღვარგარეთ გადაამოწმებინათ.

ამ შეთავაზებით ორმა ბენეფიციარმა ისარგებლა და უცხოელი ექიმებისგან რჩევები მიიღო.



ჭიპი | **MediGuide**
ჯანსაღი საზღვარგარეთ

საერთაშორისო კონსილიუმი
სამედიცინო დიაგნოზის გადამოწმება
მსოფლიოს წამყვან კლინიკებში!

აქვე დაზღვევის ბოტი



#გაიგემეთიქვე

სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვებში სიახლის დასანერგად, შევქმენით დაზღვევის ბოტი, რომელიც პირველ ეტაპზე პროდუქტ ონკოქეარს პირაპირ ფეისბუქ მესენჯერის საშუალებით გააცნობდა და მიჰყიდდა მსურველებს.

საჭირო იყო ბოტის ბრენდირება, ისეთი ვიზუალის შექმნა და სახელის დარქმევა, რომელიც მომხმარებელს ადვილად დაამახსოვრებოდა და ინტერესს გამოიწვევდა.

ამ მიზნით ჩავატარეთ სტუდენტური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯიპას რეკლამისა და მულტიმედია ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ორმა ჯგუფმა.

სტუდენტებს დაევალებათ მოეფიქრებინათ ბოტის კონცეფცია - ვიზუალი, სახელი, საკომუნიკაციო მესიჯები.

ორეტაპიანი შერჩევის შემდეგ გამარჯვებულმა გუნდმა ჯილდოდ 1500 ლარი მიიღო.

ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა - აქვემ - რომლის სახელი და კონცეფცია ყველაზე მეტად მოერგო ჯიპაის პრენდის პლატფორმას და საკომუნიკაციო სტილს.

აქვეს გასაცნობად, მომხმარებელი ბოტს სპეციალურად მისთვის შექმნილ ფეისბუქ გვერდზე აქვე-Akve უნდა ესტუმროს. ონკოქეარის შესაძენად კი გვერდის პირად შეტყობინებებში უნდა მისწეროს. ასისტენტი ბოტიც ორ წუთში - აქვე დააზღვევს. გარდა ამისა, აქვე-Akve თავის ერთგულ მიმდევრებს დაზღვევის შესახებ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გაუზიარებს, რაც დაზღვეულებს სადაზღვევო პროდუქტებით სარგებლობას კიდევ უფრო გაუმარტივებს.

კოვიდ 19-ის ბინაზე მართვის პორტალი Covid.Gpih.ge

კოვიდის ახალი შტამების გამოჩენასთან ერთად რეკორდულად იზრდებოდა მომართვიანობა ჩვენს ცხელ ხაზზე. იმ ფონზე, როცა მომართვიანობა სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა, ქოლ ცენტრში თანამშრომლების დამატების მიუხედავად გვქონდა დიდი შეფერხება. ოპერატორები ვერ ახერხებდნენ პაციენტების გადამისამართებას კოვიდ ექიმებთან.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად შევქმენით კოვიდ 19-ის ბინაზე მართვის პორტალი covid.gpih.ge იმისთვის, რომ დაზღვეულებს, რომელთაც დაუდასტურდებოდათ ვირუსი ან ექნებოდათ საექმო სიმპტომები, მარტივად ონლაინ პორტალის

საშუალებით შეეყვანათ საკუთარი მონაცემები და დარეგისტრირებულიყვნენ. ეს მონაცემები მისდიოდათ კურაციოში მოქმედ კოვიდ ექიმებს და უკავშირდებოდნენ კოვიდიან პაციენტებს.

ასევე, რეგიონებში მცხოვრებ დაზღვეულებს, საშუალება ჰქონდათ პორტალზე ენახათ თავიანთი ოჯახის ექიმის ტელეფონის ნომერი და დაკავშირებოდნენ მას.

ამ პორტალის საშუალებით შეძლებისდაგვარად განიტვირთა ქოლ ცენტრი და უფრო მეტმა ადამიანმა შეძლო კოვიდ ექიმთან დაკავშირება.

9 **INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE**



ახალი კორპორაციული ვებ გვერდი GPIH.GE

2021 წელი გამორჩეული იყო ჩვენთვის და ჩვენი მომხმარებლებისთვის ონლაინ სერვისების დახვეწით კუთხით.

სწორედ წელს ჩავუშვით განახლებული კორპორაციული ვებ გვერდი - gpih.ge, რომელიც დახვეწილი ვიზუალით, სიმარტივითა და მომხმარებელზე ორიენტირებული კონტენტით გამოირჩევა. ახალი ვებგვერდის შექმნის იდეა და მიზანი ის იყო, რომ ჯიპიის დაზღვეულებს და ზოგადად, დაზღვევით დაინტერესებულ პირებს ადვილად მოეძებნათ ინფორმაცია ჩვენს კომპანიაზე, სადაზღვევო პროდუქტებზე და მომსახურების სქემებზე. ასევე, კიდევ უფრო გაგვემარტივებინა სადაზღვევო პროდუქტების შეძენის პროცესი.

ახალ ვებ გვერდზე ჩვენი კომპანიის შესახებ სრულ ინფორმაციას მიიღებთ. გაეცნობით ჯიპიის ისტორიას, პროექტებს, მნიშვნელოვან მიღწევებს და ჯილდოებს. მომხმარებელი ნახავს ასევე ჯიპიის კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტების შესახებ ინფორმაციას და სხვადასხვა წლის არაფინანსურ ანგარიშებს. ცალკე წაიკითხავს სიახლეებს, რომელსაც კომპანია საქმიანობის პროცესში წერგავს.

ამ ვებგვერდიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს დანვრილებით ინფორმაცია ჩვენს ყველა პროდუქტზე და მარტივად, ონლაინ შეიძინოს. იქვე შეუძლია ნახოს დაზღვევის მოხმარების წესები.

გაეცნოს ანაზღაურების პროცედურას, პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალს და ა.შ.

ჯანმრთელობის დაზღვევის გვერდებზე მომხმარებელი შეხვდება დაზღვევით სარგებლობის სქემას, ნახავს პროვაიდერი კლინიკების ჩამონათვალს, გაეცნობა ბენეფიტებს რომელიც ამა თუ იმ პაკეტით ეკუთვნის და ა.შ.

ვებ გვერდზე მომხმარებელი შეხვდება საინტერესო ბლოგებს და ჯიპიის დაზღვეულების გამოცდილებას.

ინდივიდუალური დაზღვევის პროდუქტების გარდა, ცალკე სექცია ეთმობა პროდუქტებს ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ამ გვერდებზე ყველა ბიზნესი მისთვის შესაფერის სადაზღვევო პროდუქტების ნახვას შეძლებს. გაეცნობა დაზღვევის პირობებს და ჩვენს შეთავაზებას. კონტენტიც დავიზრდით მაქსიმალურად დავყავით ბიზნესის ზომის მიხედვით და გავამარტივეთ, რომ ყველა ბიზნესმა მისთვის შესაფერისი დაზღვევა მარტივად იპოვოს და მოიროს.

ვებგვერდზე ჯიპიის ყველა სადაზღვევო პროდუქტზე ნახავთ ინფორმაციას და მარტივად, შეძენასაც შეძლებთ.

The screenshot displays the GPIH.GE website interface. At the top, there's a navigation bar with the company logo, contact information, and language options. Below this, a prominent banner advertises a 40% discount on Mastercards. The main content area is divided into several sections: a 'New Insurance' section with icons for different types of insurance, a 'How to Buy' section with a car image, a 'Business Insurance' section with a building icon, and a 'Life Insurance' section with a family photo. A sidebar on the right contains a search bar and a 'Contact Us' button. The bottom of the page features a 'Contact Us' section with a form and a 'Feedback' button.

შეიძინე დაზღვევა ონლაინ

გადაიხადე MASTERCARD®-ით დაზღვევა 40 %

დაასრულე რემონტი? დროა, დააზღვიო ბინა


კოვიდ დაზღვევა

იხსოვრე, ჩვენს დაზღვევით

ვინცეფ დამოუკიდებელ ცხოვრებას

ბავშვები უკვე წაშობიარდნენ

მოირგე სწორი ავტოდაზღვევა



მოირგე 100%-მდე
ფასდაკლება
ავტოდაზღვევაზე!

 **ჭიპიაი**
პენის საინჟინერო კვლევა

ავტო ავტოზი

ავტო ფიქსი

-15% -30% -50% -100%

მოირგე სწორი ავტოდაზღვევა - ავტომობილის დაზღვევის სრულიად ახალი კონცეფცია „ჭიპიაი ჰოლდინგისგან“

2021 წელს მომხმარებლებს ავტოდაზღვევის სრულიად ახალი და ინოვაციური პროდუქტები შევთავაზებთ. მოირგე სწორი დაზღვევა! - კამპანიის მთავარი მესიჯია, ავტო ფიქსი და ავტო აქტივი კი ავტოდაზღვევის ახალი პაკეტებია, რომელიც დაზღვეულმა ცხოვრების სტილიდან გამომდინარე თავის თავზე უნდა მოირგოს. პროდუქტის უნიკალურობა ისაა, რომ მომხმარებლებს საშუალება აქვთ მრავალფეროვანი პაკეტებიდან მათ საჭიროებებზე და ცხოვრების სტილზე მორგებული პოლისი აირჩიონ. შევთავაზებთ ორი ახალი და ერთმანეთისგან განსხვავებული პაკეტი: ავტო აქტივი M, L და XL პაკეტებით და ავტო ფიქსი. ეს პაკეტები ერთმანეთისგან პირობებითა და ფასით განსხვავდება, დაზღვევის მსურველებმა კი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე მათზე მორგებული შეთავაზება უნდა აარჩიონ.

ავტო ფიქსი ჭიპიის სრულიად ახალი პროდუქტია, რომელსაც ბაზარზე ანალოგი არ აქვს. ეს არის დაზღვევა ადამიანებისთვის, ვისაც არ სურს ბევრი დრო დახარჯოს დაზღვევის პირობებში გასარკვევად. ეძებს მარტივ გადაწყვეტილებას ფიქსირებულ ფასად. ავტო ფიქსის მფლობელს ყოველთვიურად მხოლოდ 40 ან 50 ლარის გადახდა უნევს და ზუსტად იცის, რომ ნებისმიერი შემთხვევის დროს, თანხის 90% ჭიპიაი სრულად აუნაზღაურებს.

ამ პროდუქტზე მუშაობისას ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ავტოდაზღვევა გაგვემარტივებინა და რეალურად მოგვერგო ადამიანების საჭიროებებზე, ჩენი ყველა შეთავაზება განსხვავებული და უნიკალურია,

შესაბამისად მომხმარებლებს საშუალება აქვთ დაფიქრდნენ რა სჭირდებათ და ისე მოირგონ დაზღვევა. ჩვენ ვეცადეთ და შევექმენით დაზღვევის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელშიც ნებისმიერი მომხმარებელი აუცილებლად იპოვის თავის საჭიროებაზე მორგებულ პაკეტს. განსაკუთრებით, ავტო ფიქსს, რომელიც სრულიად უნიკალური პროდუქტია მათთვის, ვისაც აქამდე დაზღვევასთან შეხება არ ჰქონია, სურს მარტივად და ქკვიანურ ფასად დააზღვიოს ავტომობილი. ყოველგვარი ზედმეტი პირობების და გამონაკლისების გარეშე ფიქსირებულ ფასად აზღვევს ავტომობილს და ბარალის 90% ყველა შემთხვევაში უნაზღაურდება.

მოირგე სწორი დაზღვევა! - ამ მესიჯით აქტიური ცხოვრების სტილის მქონე ადამიანებს მივწვდით. მათ ვინც ყოველთვის მოქმედებაშია და მიზნის მისაღწევად იბრძვის. ვფიქრობთ, რომ დაზღვევას სწორედ ასეთი ტიპის ადამიანები ირგებენ, რომ მიზნისკენ შეუფერხებლად იარონ.

კამპანიის წასახალისებლად და ცნობადობის გასაზრდელად შევექმენით პლატფორმა - moirge.com. რომელიც დაზღვევის მსურველს, სწორ ავტოდაზღვევასაც არგებდა და საჩუქრებსაც სთავაზობდა. მათ შორის 100%, 50%, 30% და 15% ან ფასდაკლებას ავტოდაზღვევაზე და სხვადასხვა ბრენდირებულ აქსესუარებს. საჩუქრის მისაღებად ადამიანებს მარტივ კითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი, პროცესის ბოლოს კი მათზე მორგებულ პაკეტს და საჩუქარს იღებდნენ.

5 **GENDER
EQUALITY**



ქალი მეწარმეების მხარდამჭერი პროგრამა

ჩვენი კომპანიისთვის ქალების მხარდამჭერი კამპანიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომ შეზღუდვების მოხსნასთან ერთად განვაახლეთ ქალი მეწარმეების მხარდამჭერი პროგრამა რომელის ფარგლებშიც, კომპანიებს, რომლების დამფუძნებელი ან გენერალური დირექტორი ქალია დაზღვევას სპეციალური პირობებით ვთავაზობთ.

სპეციალური პროგრამა ქალი მეწარმეების მხარდასაჭერად გაეროს ქალთა პროგრამასთან თანაშრომლობით განვახორციელეთ. პროექტი განსაკუთრებულ შეთავაზებას და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს მოიაზრებს:

- დაზღვევის პერსონალური ექსპერტი;
- 30% ფასდაკლება ქონების დაზღვევაზე;
- ბიზნეს შეფერხების დაზღვევა საჩუქრად;

ქალ მეწარმეებს ბიზნეს რისკების დაზღვევის ფარგლებში დაზღვევის ექსპერტები შევთავაზებთ. რომელთა მთავარი ფუნქციაა, დაეხმარონ მეწარმეებს, შეარჩიონ მათთვის საუკეთესო პაკეტი. ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ დაზღვევის, როგორც ფინანსური თავდაცვის მექანიზმის შესახებ და ბიზნეს რისკების მართვაზე მათი სპეციალიზაციის მიხედვით.

